

ფრთხი

რედაქცია: სოლოლოვზე, ბალის ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. შარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію „Дროზда“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., ხუთის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი წაწმენისა: ღარიანი გზით ასობე 1 კაპე, ჩვეულებრივად ცერითი—5 კაპე, ვატარატი—4 კაპე

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

უკველ დღე მოსაბათს გარდა

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სადროვის) ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლებში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дрозда“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილთ—ხუთი მანეთი.

ბელგრავეები

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 18 ივნისი. „ნიუ-იორკ-მრალდში“ იწერებთან, რომ სოტეკის მცხოვრებნი აჯანყდნენ და ბევრი ჩინელები ამოწყვეტესო.

კატარბურლის ბირჟა, 18 ივნისი

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	95	—25
მეორე	95	—12
მესამე	95	—12
მეოთხე	95	—
აღმოსავლეთის პირ.	92	—50
აღმოსავლეთის მორე	92	—37
აღმოსავლეთის, მესამე	—	—
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8	—40
თფილ. თავად-ან. ბანკის გირაოს ფურცელი	91	—87

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	241	—50
მეორე სესხის	236	—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	23	—56
ამსტერდამი	119	—25
ბერლინი	201	—75
პარიჟი	248	—75
ბავკასის კერასინი	—	—

საქართველო

დღიური

* 2 აპრილი მოკვლის განზრახვის გამო თფილისის თავად-ანაურობამ შეკლდეგი აღრესი მიართვა ხელმწიფე იმპერატორს:

„თქვენო იმპერატორებით უდიდესობაე!“

რუსეთის განაპირს ქვეყანაში, ტანტის ერთგულ ქართველ ხალხში უსამზღვრო წყრომის გრძობა აღძრა იმ ამბაემა, რომ ბოროტ ხელმა განიზრახა თქვენი შეხება. დანაშაუე ხელმა უკუნურისამ მესამეჯერ განიზრახა წართვას რუსეთს ის, ვისაც სასოებით პატივს-სცემს ოთხმოცი მილიონის გული. მაგრამ ბანგებამ, რუსეთის საზოგადო სარგებლობისა და ხალხთა პატივის დასაცველად, არ ძალ-მისცა შესრულების სახსარი ამ ბოროტ განზრახვასა.

თფილისის გუბერნიის თავად-ანაურობას აქვს ბედნიერება ქვეშევრდომობითი მოლოცვა გიძღნას იმ ძვირფასი სიცოცხლის დაფარვისათვის, რომელიც გაჩნდილია ჩვენი დიდი მამულის მშვიდობიან წარმატებისათვის.

„ხელმწიფეო, პეტრე დიდის შემდეგ რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი საზოგადო განახლება და ამაღლება ხალხის ცხოვრებისა, როგორსაც ეხედავთ ახლა თქვენის დიდებულების ოც-და-ოთხის წლის მშვიდობიან და ქებულ შეფობაში. რუსეთის ერთის კუთხიდან მეორემდინ მილიონი ხალხები აღჭურვილნი არიან გულითადის სიყვარულითა და მადლობით თავის მეფის-ბანმათავის უფლებებისადმი და ერთგულებით ტანტისადმი. ბოროტი საქმენი და განზრახვანი ზოგიერთ ბოროტ პირებისა უფრო ამგრებენ ამ გრძობათ, კიდევ უფრო ამკვიდრებენ კავშირს ხელმწიფესა და ხალხს შუა.“

თფილისის თავად-ანაურთა წინამძღოლი გვარდიის პოლკოვნიკი თ. დ. ს უ მ ბ ა თ ვ ი. ამგვარივე აღრესები წარუდგენიათ ხელმწიფე იმპერატორისათვის ბავკასიის სხვა ქალაქებსა და წოდებათაც.

* მინაილოვის ტენიკურ-რკინის გზის სასწავლებლის მთავრობა აცხადებს:

ამ სასწავლებელში მისაღები ეგზემანები იქნება ამ წლის აგვისტოს 16-დამ ვიდრე 31-დინ. მხოვნა უნდა შეიტანონ სასწავლებლის ზედამხედველის სახელობაზე (მოროცკოვის წყლის-პირა ქუჩა, სასწავლებლის ხანლი). მხოვნების მიღება ივლისის 15-დამ დაიწყება და 10 აგვისტოს გათავდება. მხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქმნეს დაბადების (მეტრიკული) მოწმობა და აგრეთვე მოწმობა ყვეილის აცრისა.

მისაც მოსამზადებელ კლასში შესვლა ჰსურს, იმას მოეთხოვება: სამღეთო წერილიდამ—უმთავრესი ოცვები, რუსული ენიდამ—თავისუფლად წერა-კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვით თქმა, არითმეტიკიდამ—პირველი ოთხი მოქმედება.

მისაც პირველ სვეციკიალურ კლასში შესურს შესვლა, იმას მოეთხოვება: სამღეთო წერილიდამ—ძველი ალთქმა, რუსული ენიდამ—სინტაქსისი და ეტიმოლოგია, არითმეტიკიდამ—პრაპორციებამდინ, გეოგრაფიიდან—პირველი წლის კურსი (სიმონოვის სახელმძღვანელოდამ), რუსეთის ისტორიიდან—რომანოვის სასახლამდინ.

მოსამზადებელ კლასში მიიღებიან ყმაწვილები 13 წლიდამ 16 წლამდინ; სვეციკიალურ კლასში კი 14 წლიდამ 18-მდინ.

სწავლის ფასი წელიწადში—ერთი თუმანია.

სასწავლებლების შავირდებს შეუძლიანთ თვეში 4 მანეთად და 50 კაპ. აქვე სქამონ სადილი.

* ჩვენ შევიტყეთ, რომ ალექსანდროვის საოცრატონისტიტუტში ოთხს ქართველს კაცს აყმაწვილს შეუსრულებია სწავლა, რომლებიც ყველამასწავლებლებად დაუნიშნავთ; სასულიერო სემინარიაში თერთმეტ ქართველს გაუთავებია კურსი, რომელთაგან ორი უმაღლესს სასწავლებელში მიდიანო; რეალურს სასწავლებელში კისულ სამმა ქართველმა შეასრულა სწავლა და ამათში ორმა პირველი ხარისხის მოწმობა (ატტესტატი) მიიღოვო.

* თფილისის მოამბე გვაცნობებს, რომ ახლად-შემდგარი ჩვენი ქართული ტრუპა ამ ზაფხულ მუთახში, ბორს, ბათუმში, ბორჯომში, ახალციხეში და სხვ. ქალაქებში აპირებენ წასვლას და წარმოდგენების გამართვასო. მწკენს-თვიდამ კი მულამ კვირაობით იქნება

თუ საზღვრული თეატრში ქართული წარმოდგენები.

ამ მოკლე ხანში კი ტრუპას ექნება ამ ზღვრულს უკანასკნელი წარმოდგენა თეატრისში; სუნდუკიანცის კომედიის „პეპო ს“ წარმოდგენას აპირებენ.

* ჩვენ გვაცნობებენ, რომ შოთი-თფილისის რკინის გზის სტანციებზე და ვაგონებში გაზეთებს თითქმის ერთი-ორ ფასადპყიდიან ძონდუქტორებიო; მაგალითად თქვენი გაზეთიო, გვწერენ, ორ შაურად ისყიდებო და „თფილისის მოამბე“ ხანდისხან სამ შაურათაო; პეტერბურლის გაზეთებს კი ზოგ ჯერ აბაზათ პყიდიანო.

გაზეთების გასყიდვის უფლება შოთი-თფილისის რკინის გზაზე უფ. შვერდოვის „გაზეთის სააგენტოს“ აქვს აღებული. მაგრამ არა გვგონია, რომ იმას ამ საქმეში ბრალი ჰქონდეს. „დროებას“ ჩვენ „სააგენტოს“ ეგზემპლარის ოთხ კაპეკად ვაძლევთ და იმანაც შაურზე მეტად არ უნდა გაჰყიდოს.

* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჟურნალის „ივერიის“ ბეჭდვა ხელ-ახლად დაუწყიათ და ამ მოკლე ხანში ორი თვის წიგნი ერთად გამოვაო.

* ჩვენ ვეთხოვეთ გამოვაცხადოთ ანგარიში იმ ფულისა, რომელიც ბომის სასაფლო შკოლამ მიიღო ქ. ბორში გამართულის წარმოდგენებიდამ;

შემოსავალი იყო სულ ბომის შკოლის წილად—59 მან. და 50 კაპ.; ამ ფულით არის ნაყიდი 20 სურათი—10

მან., გამოწერილია „დროება“—4 მან., პატარა ქართული წიგნები ზოგი მასწავლებლისა და ზოგი მოსწავლეებისათვის—8 მან., ბომის საზოგადოებას გარდაეცა—37 მან. და 50 კაპ. (აქედამ ბომის შკოლის მოსამსახურეს გარდაეცა 13 მან.), სულ 59 მან. 50 კაპ.

ბომის მასწავლებელი ბრ. შიშვიძე.

„დროების“ კორექსორდენცია

ს. მუჯირისხევი, 10 თბილისი. დილით ათზე, თუ თერთმეტ საათზე, სწორეთ აღარ მახსოვს, ერთი ჩახი-ჩუხით, ზარების წკრიალით შემოვიდნენ ჩვენ სოფელში რამდენიმე ფაეტონები. წინა ფაეტონში ბრძანდებოდნენ უ. თბილისის გუბერნატორი, ბორის მაზრის უფროსი, კანცელარიის მმართველი; მეორე ფაეტონში ბრძანდებოდნენ:

რემერტი და პიმონტი. შემდეგ ფაეტონებში ისინდნენ სხვა მკურნალები; სულ უკანასკნელ ფაეტონში ფერლები და ყუთებით წამლებიც მათ თან ჰქონდათ.

ეს ამოტელა ფაეტონები, ჩაფრები, პოლიციის ჩინოვნიკი უცბათ სოფელში მოვიდნენ! რასაკვირველია, ყველა განცვიფრდებოდა მით უფრო, რომ დილითვე გამოეცხადა მამასახლისი, რომ გუბერნატორი მობრძანდებოა. „რა ამბავია, თქვენი ჭირიშე, ჩვენ თავსა!“ შევლა ამას გაიძახოდა.

სოტა ხნის შემდეგ გამოეცხადა გიზეზი ამათის მოსვლისა: გვიღო ყველამ, რომ ავთამყოფობის გამო მოვიდნენ ამოტელა მკურნალები. ახლა სხვა ექვში ჩავარდა ხალხი: „მაიმე კარანტინებს გვიკეთებენ, ვაიმე, ღვინოებო, როგორღა გავყილოთ, ჩვენი ცოდვით დაიწოას, ვინც ეს ავთამყოფობა მთავრობას გამოუტყხადა! ამბობდა ხალხი. სოტა ხნის შემდეგ, სწრაფათ, როგორც ელვა, ეს აზრი ხალხისა შეიცვალა სხვა აზრათ: „იმისთვის მოვიდნენ, ბიჭო, რომ მკვდრები უნდა ამოიღონ და დასწონ! მხლა ეს კანონი შემოვიდა, რომ მკვდრები აღარ დამარხონ, უნდა დასწონ“—ამბობდა გულწრფელათ ხალხი.

მოსვლისათნავე გუბერნატორმა ინება სასაფლო შკოლის ნახვა. რა შთაბეჭდილება მოახდინა შკოლამ გუბერნატორზე, ამაზე ვერას ვიტყვი, რადგანაც დღესასწაულის გამო შევირდები დათხონილები იყვნენ და სწავლა არ იყო მასში.

ამის შემდეგ მკურნალები შეესივნენ სოფელსა. მწოლიარე ავთამყოფებს ეს მკურნალები შინჯამდენ, ფეხზე მოსიარულე ავთამყოფებს შინჯამდა მკურნალი რემერტი მსტატე მრისთავის სახლებში.

ნახეს ბლომათ ავთამყოფები, მაგრამ არათფერი ნიშანი არ ამოჩნდა გადასადები ავთამყოფობისა. ზოგს ავთამყოფს წამალი მისცეს, ზოგს რეცეპტები დაუწერეს და ზოგს სიტყვიერი დარიგება მისცეს, ე. ი. დიეტა დუნინეს.

უნდა ესთქვა, რომ ძრიელ გულ-მოდგინეთ შინჯამდენ ეს მკურნალები ავთ-

ფელტონი

ისტორიის მასალები

(ზაგროძელება *)

შაჰაბაზის ჩაბარების შემდგომ ბიორგი მეფესა აღარა დასცალდა რა. 1603 წ. გარდაეცალა და გამეფდა ძე მისი ლუარსაბი. საქართველოს მიმხრობის წყალობით შაჰაბაზი ქვეყნის მპყრობელობაში წინ წავიდა: სადაც მიდგა-მოდგა, ყველგან გაიმარჯვა. მულმართალ თავდაზნიურთ გარდა, მრავალნი მამულის მოლაღატე პირნი ახლდა დღე-ღამ მოუშორებლად თავისთანა; მის ბოროტ გულ-გონებას მრავალ ნაირის მაკვდინებელის შხამ-გესლით ავსებდნენ თავიანთ ბოროტ-შურის საძიებლად მართალ და უმანკო მეფე-მთავართაგან, რომელიც თავის მანენ-მაკვდინებლობას პირველში დიდის სიფრთხილით მალემდა, პირად ზოგჯერ სიტკბოს იჩენდა, ზოგჯერ სიმაართლეს და ქვეყნის მაშენებლობასა მფლობელობათის რიხითა.

ამ რიგობით ჩაველო ხელი ოთხ ყურეს. 1606 წ. მანჯა აიღო, შამახია და მიდამონი სრულ დაიჭირა. იმ ბოროტ

კაცების რიცხვისაგანი იყო ერთი ლუარსაბ მეფის მოურავი გაქცეული შაჰაბაზთან. 1609 წ. ლუარსაბ მეფემ მათარ-ხანი მამსახი რომ დაამარცხა, ლუარსაბ მეფის მოურავის შეგიზგიზებით შაჰაბაზმაც მოაოხრა საქართველო. ამ დროს გაიგეს მეფე მთავართა შაჰაბაზის მანებლობა, მაგრამ რალა უნდა ექმნათ, ოთხ კუთხივ მანეში იყვნენ გაბმულნი...

ამ დროს მამია ზურიელმა აჭარა დაიჭირა; მანუჩარმა ვერ უპირდაპირა, რადგან მესხების ორგულობით მოხდენილი შფოთ-ანღერეულობის გამო სრულ არ სცალოდა... ის მხნე, ძლიერი, ქველ-მოქმედი ერი ანდრია მოციქულის მოღმა, რომ ძრისტეს წმიდა სჯულის შესდგომოდა, ყოველის მხრით ზრდილობით, სწავლით, სიმართლით, სიწმინდით და მხნეობით ქვეყნის სამაგალითო იყო. 1500 წლამდის, როცა ვაგრილდნენ ღეთის სამსახურზედ, შეურაცხეს სჯულის კანონი, აღარ მიჰყენენ მძათ მოყვარებას, დავრღვიათ სრულიად შინაგანი მშვიდობა და მისცეს უზომოდ გარყენილობას თავი; მრავალ-ცოლობა, ავ გზაზედ მოსიარულობა დიდი სახელი იყო; ერთის სიტყვით განხორციელებულ პირუტყვებად იყვნენ გარდაქცეულნი დილით წვრილამდის; მაჰმადიან ოს-

მალეზსაც უკვირდათ მესხების ეგრეთი ბედის გარედ ვასვლა, ვაგარეულობა კაცობრივის სიპატიოსნისაგან, რომლით მომდებდნენ, მოუძლოურდნენ და ბეიტ ჩამომავლობაზედ გარდვიდნენ. ბევრი იშრომა მანუჩარ ათაბეგმა მათ ჩასაგონებლად ხან ტკბილის დაყვავებით, ხან შეგონებით, ხან მწყურალობით, მაგრამ ვერა უშველა-რა, უქრობ ცეცხლის უფსკრულში იყო ჩავარდნილი; მეტის ნაღვლისაგან გარდაასკვა თავი და მოკცდა 1614 წელსა.

იმავე წელსავე მოიყვანეს მესხებმა მანუჩარი მრეწილგან და დასვეს ათაბეგად ხვანთქრის ნება-რთითა. მადარჯულელებულნი არ ეპოებოდნენ ათაბეგსა, პატივის-ცემის მაგიერ მულამ ბუსუნში უდგნენ და აბეზლებდნენ ათას ნაირ ცილის-წამებით მსმალეზსა და მსმალნიც აზრუმის ფაშასთან თავს უძლევდნენ.

1615 წ. შაჰაბაზის მძლავრობის დასამშვიდებლად თეიმურაზ ბატონმა დედა მისი მეთევანი და ძენი თვისნი წარუველინა; ესენი გარდიყვანა მანჯილგან პარსეთს, ასრევე მზაკრობით მიიტყვილა ლუარსაბ მეფე, თეიმურაზის ძენი გამოასაჭურისნა. 1620 წ. ლუარსაბ მეფე მოაშთობინა მულაბყალას შეილდის ლარითა, და მეთევან დედოფალი დიდის ტანჯვით აწამა შირახსა 1624 წ.

*) „დროება“, № 127.

მყოფებს. ღელაკაცი, კაცი, ბავში გუნ-
დით შემოგვიყვანე უ. რემერტსა სა-
ჩვენებლათ, ღელაკაცებს ბავშვები ხელში
ეჭირათ და გულწრფელათ აჩვენებდენ.
ავთამყოფების გუნდში ერივა ერთი ახ-
ლათ დაობლებული გლეხის პატარა გო-
გო, რომელსაც ერთი კვირის განმავ-
ლობაში დაეხრცა ღელა, მამა და ძმა;
ისეთი შესაცოდარი სულდგმული იყო,
ისე დაღვრემილი სახით იყურებოდა ეს
ობოლი, რომ მან ყველას ყურადღება
მიიქცია: უ. გუბერნატორმა აჩუქა ფუ-
ლი და თავზე ხელი დაუსვა, აგრეთვე
უ. რემერტმაც აჩუქა ფული.

ახლა დაიწყო გამოძიება მიცვალებუ-
ლების ნამდვილი რიცხვის გასაგებლათ.
მოსთხოვეს მღვდლებს ამაზედ სტატი-
სტიური ცნობები. ძრიელ ცდილობდენ
ეს დალოცვილი მამები, რომ რაც შეიძ-
ლებოდა ცოტა რიცხვი ამოსულიყო.
დაზოცილებისა და კიდევ შეასრულეს
თავისი: ცოტა რიცხვი ამოჩნდა მიცვა-
ლებულთა, ისე ცოტა, რომ იმოტელი
არ იყო, რამოტელიც მაზრის უფროსს
გამოეცხადა. როგორ მოხდა ესა, — მე
არ ვიცი, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს
ცნობები საეჭონი არიან, ადვილათ ვერ
ენდობა მათ სტატისტიკოსი. ამ მღვდ-
ლებში ორმა მღვდელმა კარგათ სინი-
დისიანათ აჩვენეს. ნამეტნავათ შაქრო
მღვდელმა. პი ამის ჩვენება:

„რა ავთამყოფობა იყო სოფელში,
მე ვგ არ ვიცი—ეს სამკურნალს სპე-
ციალისტების საქმეა; მხოლოდ იმას
ვიტყვი, რომ წინა წლებზე ამ ორი წლის
განმავლობაში უფრო ბევრი მოკვდა.
რამდენიმე ცოტა ხნის განმავლობა-

შიაც მოკვდა; ამას კი ჩვენ ვაწერთ
მკვალსა. არ შემოძლიან ვსთქვა, რომ
აქ იყოს რაიმე შესაყარი ავთამყოფო-
ბა, რადგან არც ჩვენ, მღვდლებსა, არც
მიცვალებულის ქირისუფლებს არაფერი
გადაგვდებია; თუმცა რამდენიმე მიცვა-
ლებული გამოგვისვენებია ერთი და იგივე
სახლიდგან.

თელაგის მაზრის უფროსი უცბათ
საიდგანლა მობძანდა მეჯვრისხვეში, უ.
ჩოლაყაშელი; მან გამოუცხადა ხაღხსა,
რომ სიკვდილობის მიზეზათ მკურნალე-
ბის კომისიამ აღმოაჩინეს სოფლების
უსუფთაობა; სოფლის დასუფთავების
მიზეზი და მისი სარგებლობა ხაღხს
მშვენიერის სურათებით და მაგალითე-
ბით აუხსნა. საზოგადოთ ეს კაცა მეც
და ხაღხსაც ძრიელ მოგვეწონა; ნამ-
დვილად დამარწმუნა ამასმა ქცევამა,
რომ იმას მართლა ბევრი კეთილი საქ-
მის გაკეთება შესძლებია მაზრის უფრო-
სის ასპარეზზე.

ჩვენი მაზრის უფროსმაც მრისთავმა
სასტიკი სანიტარები დანიშნა სოფლის
დასაწმენდათ. ღიდი მოძრაობა, ღიდი
მუშაობა არის სოფელში ამ „ასენიზა-
ციამზე“. იმედია, რომ ამ სახით სოფე-
ლი სულ გაიწმინდოს, მით უფრო რომ
მაზრის უფროსმა ეს საქმე ისეთ პირებს
მიანდო, რომელნიც ენერგიულათ და
ფხიზლათ ეპყრობიან ამ საზოგადო საქ-
მესა. ეს ასენიზატორები არიან: ძოტე
მრისთავი და ძონა მრისთავი, რომელ-
თაც გულითადს მადლობას ვუძღვნით,
რადგანაც ასე ფხიზლათ ექცევიან ამ
საქმეს.

ასენიზაცია არაფერა, ბატონო, მეჯ-

ვრისხვეი რალასაც აპირობს: ლამის
პროგრესი შემოგვეპარეს; ჩვენმა ღელა-
რია მრისთვისას აქვს სურვილი გაეღოს
სოფელში სასოფლო აბანო, აბანოში
იღვება სარეცხის მაშინა, მაშინაზე გლე-
ხის ქალებმა უნდა ისწავლონ სისუფთა-
ვე და გარეცხა! წარა-კითხვას იგინი ის-
წავლიან სასოფლო შკოლაში. ამასთა-
ნავე ჩვენი გარდაცვალებულის ღებოს
მაგიერათ ეს ხსნის სამს ღუქანსა: სამ-
ქედლოს, საყასპოს და ისე მალაზიას,
სადაც გაისყიდება ყველაფერი, რაც
შეადგენს სოფელში ხაღხის მოთხოვნი-
ლებას. მისურვებთ, რომ ეს წმინდა აზ-
რები განხორციელდენ. თუ თანაგრძობა
და შემწეობა იქნება, ისე გულმოდ-
გინეთ არის ამ საქმეში კენიანა ღარი
რომ უეჭველია გააკეთებს ამ საქმესა.

ეს ახალი, სულ ახალი ამბები. ძველი
ის განლავს, რომ ნუნუას ძალიან ვსევამთ.
მაგრამ როგორღაც გამოიცვალა ჩვენი
საზოგადოება: აღარც უწინდელი პიკნი-
კები, აღარც რიგ-რიგით კამპანიები აღარ
არსებობენ აქა; რალაც სიმშვიდეა. მსლა
ყველა განათლებაზე ლაპარაკობს, ყვე-
ლა მომავალზე იღვწის, ყველა მოძ-
რაობს. ღრო არ არის, თქვენი ჭირიმე,
აი ლამის ეს საუკუნო ისე უეცრივ გა-
მოგვეცალგოს; თუ არ მოვემზადდებით, ის
მომავალი საუკუნო გულში მიგვიკრამს
არა?

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ -მეჯ-
ვრისხვეში არ ყოფილა არაფერი გარდა-
სადები ავთამყოფობა და არც არის;
ამისთვის ვსთხოვ ყველას, ვისაც ღეი-
ნის ყიდვა უნდა, მობძანდეს და იყიდოს;
თორემ ლამის ღეინოში თავები და-

რაც თავისი შხამ-გესლიანობით ააოხრა
რამდენმეჯვრე ძართლი, ძახეთი და სომ-
ხეთი, ის ხომ სხვა.

ამ ღროს აზრუმის ფაშა ოსმალთე-
ბის მოწვევით მოადგა ურიცხვის ლაშ-
ქართა მანუჩარ ათაბეგსა უცნობელად.
მით ათაბეგმა 300 კაცით გარიდა ახალ-
დაბას, იქიდან უშველა მარაბდის ომში
და მერმე ახალდაბასვე მოიქცა. აქედ-
გან როგორც იყო შეურეგდა ოსმალთა
და დაჭირა პირველსავით სამესხო, მაგ-
რამ უარესს ჭირნალველში ჩავარდა.
ძოველდენით მახეები მოდგმული ჰქონდა
და ავკაცნი შეჩენილები, არა თუ სამეს-
ხეთში იგივე ძართლშიცა. ბიჭოგი მოუ-
რავმა დახედა ზაზა აწყვერის მოურავი
მომკვდარიყო და მეცხინოვანთ რიგიანი
გამგე არლარავინ ჰყავდათ, დაესხა ახ-
პინძას, პარსები ამოწყვიტა და დაჭირა
ხერთვისის ციხე მიმდგომის ციხე-სიმაგ-
რებითა და ოსმალთ ჩააბარა.

მანუჩარს რომ ყოველი საშვალეობა
გაუწყდა, მიჰმართა ხვანთქარს ძოსტან-
ტინვოლს, მრავალის ნიჭ-საბოძერების
გაცემით კარის კაცებში, ისევე განიმეო-
რა ქრისტიანობით ათაბეგობა და წამო-
ვიდა ახალციხესვე. ბაიხოსრო ათაბეგის
მესამე ძე, ბეჟა ბიძა ამ მანუჩარისა, უჩი-
ნეს გადარჯულებულმა მესხებმა. ეს ძმის-
წული თავისი მანუჩარ ათაბეგი ისტუმ-

რა გზაში მომავალი ხულოს ტკბილად
ბეჟამ პირფერობითა. შეურთო შხამი
სასმელ-საჭმლებში და სული განთხევი-
ნა. თვითონ ბეჟა ჩავიდა სტამბოლს
ხვანთქართან, გამაჰმადიანდა, მიიღო ორ-
თული ფაშობა, დაიჩქვა სახელად სა-
ფარ-ფაშა, მოვიდა და დაიჭირა სრუ-
ლიად საათაბეგო მაჰმადიანობით 1625 წ,
მოსპო ქრისტიანობა და ააწერინა ქვე-
ყანა ოსმალურ 24 სახჯალად (მაზრად):
ა) ახალციხე, ბ) აწყვერი, გ) ჯავახეთი,
დ) თრიალეთი, ე) ხერთვისი, ე) შვაბ-
ლიანი, ზ) შოცხოვი, ც) არტანუჯი, თ) ჩილდირი,
ი) არტანუჯი, ია) ართვინი, იბ) ხემო და შვემო აჭარა, იკ) იმერ-
ხვეი, იდ) მაჭახელი, იე) ლივანა, ივ) ძისკიმი,
იზ) თაოსკარი, იბ) სინგოთი, ით) პარხალი, კ) ნამურავანი (ნარიმანი),
კა) ორთისი (ოლოთი), კბ) შანაგი, კგ) სპერი, კდ) ბასიანი თორთომითურთ.

აგრეთვე ქრისტიან მესხების სულზედ
დასდევს ხარჯად 30 შაური, საფაშო
10 შაური, ცხენსა და კამეჩზედ 6 შაუ-
რი, ძოხაზედ 1 აბაზი, თხა-ცხვარზედ
2 შაური, ყოველ ჭირნახულზედ. ხი-
ლეულზედ და წველეულზედ ექვსში ერი-
თი; გარდა ამისა მალ-მალ ჩაუყენებდენ
სოფლით ქალაქამდის ცხენოსან ჯარსა
თუ ქვეითსა და მორიგით კვამლზედ
კაცს უნდა ეყვება კარგ-კარგის სასტი-

სამჭლებითა. რაც ეშოვნათ, რაც ეზოვ-
ნათ კარგ-კარგი სარჩო, სამყოფი, საწუთ-
როთრულ იმათთვის უნდა შეენახათ.

ირეოდენ დაურიდებლათ ქრისტიანთ
ცოლ-შვილში ათას ნაირი სჯულის კა-
ცი ბევრნაირ უპატიურებას აყენებდენ-
და. ლაღობით. ცხენის დასაბმელს საჩუ-
ქარს წაართმევდენ; ცხენის პირის გან-
სანძღრევს, თავიანთ ხელის გასათაცუ-
რებელს, კბილის დასადგმელს საქმელ-
ზედ.

მრთის სიტყვით, ენა-გამოუთქმელი
იყო იმათი მძლავრობა; რაც ავკაცობით
და ბოროტობით გამაჰმადიანებულ იყე-
ნენ, ასი და ათასი იმდენი სრულ ამ
ნაირი ტაცვა-გლეჯისაგან ძალ-დატანე-
ბულნი, ვალატაკებულნი დაშთენილან,
აღარა ჰხადებიათ-რა და მის გამო სჯუ-
ლი დაუკარგიათ! ოსმალების ამ ნაირი
მოხდენილი ურჯულობაები რამ იტო-
დნენ ჩვენმა მაჰმადიანმა მესხებმა, ხომ
გონებაზედ მოვლენ..

შიმე მესხი.
ახალციხე, 14 თბათვეს.



ვიღრხოთ! ქრისტიანები არა ხართ, გვიშველეთ რამე!

ქალთა ასოციაციის დირექტორი გვეწინაა.

მეტისარა.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

საფრანგეთის სამფლობელო პოლიტიკაში ამას წინათ ხალხის არეულობა მოხდა. ულედ-ლაუდის ტომის ხალხი აჯანყებულა და საფრანგეთის ჯარის განდევნა მოუწოდებდათ. ახალ სამოქალაქო მმართველს პოლიტიკისას პლემბერტ-ბრევის გაუფხავნია აჯანყებულების დასამშვიდებლად ჯარები და, როგორც ფრანკულულს განხეთქებში იწერებოდა, ამ ქაშად თითქმის ყველა აჯანყებულები დაუმშვიდებიათ; მხოლოდ რამდენიმე სოფელი დარჩა კიდევ ახლა დაუმშვიდებელი.

— ბამონინილი რევოლუციონერი ბლანკი, რომელსაც ამ მოკლე ხანში გამოუცხადეს ამნისტია (პიტიობა), უკვე დამოუშეიათ სატუსალორად და ჩამოსულა პარიჟში. კმობენ, რომ ხელმეორედ ის აღარ აპირებს კენჭის ყრასა ბორღოში.

ოსმალეთი

სტამბოლიდამ იწერებოდა ერთს ფრანკულულს განხეთქში, რომ ხონთქარსა და მთავარ ვეზირს — ხაირედინ-ფაშას შუა უკმაყოფილება ჩამოვარდა ასე, რომ, ამბობენო, ვითომც ხაირედინ-ფაშა ამ მოკლე ხანში გამოცვლილი იქნებოდა და იმის ნაცვლად მაჰმედ-ნედიმ ფაშას დანიშნენო. ხეირედინ-ფაშას საფრანგეთში წასასვლელი პასპორტი მიუღია.

— ამავე განხეთქის სიტყვით სულთანი ძალიან შეწინებულა ამ ქაშად, რადგან შეუტყვია, რომ აბდულ-აზის შვილის იუსუფ-იზნედინის მოძრებებს განზრახვა აქვთ, რომ სულთანი მოკლანო.

განცხადება

მამს პატივი განუცხადო თვილისის პატივცემულ ვაჟებს, რომ ამ მოკვითანე პარიჟიდა ამ მოკვლ გვარი სამონლის ნიშნებში, რომლებზედაც ვიღებ ზაკაზებს პარვის პირობებით.

მსურველთ თუშლიანთ ნახონ ეს ნიშნები უარფრუნის ქარვასლაში № 181, სადაც იმხნება გამოფენილი მოკლე ხნით. პარიჟის შიკაბ: Gilles et Iohan Chandon.

წარმომადგენელი ზ. იეზოვი. (12-2)

თუ ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობამ შეიტყო, რომ ზოგიერთი დიდი გაუშენებელი მამულების მებატრონები ქ. თფილისში, როგორც მაგალითად თ. თუმანოვები, მრისთავი, ბაბაშვილები, მელიქოვი და სხვანი, ნაწილ-ნაწილად ჰყოფენ თავიანთ მამულებსა და ასე ნაჭრებად ჰყდიან უქლანოთ და ჰკლანის წარუდგენლად ქალაქის გამგეობაში, რომელიც წინა აღმდგეია „ქალაქის კეთილ-განწყობილების დროებით წესდების“ მე-16 მუხ-

ლისა და „შენობითი წესდების“ 1307 მუხლისა.

ამის გამო ქალაქის გამგეობა მოიწვევს ამ მამულების პატრონებს, რომ სანამ გაჰყიდნენ თავიანთ მამულებს, სანამ გაშულის დაუფრის პროპატი წარმომადგინონ ქალაქის გამგეობაში განსახილველად; მიუღველოთ კი ქალაქის გამგეობა არ მისცემს შენობის უფლებას იმ მიწაზე, რომლის გამოყიდველსაც შემოხსენებული მოთხოვნისა არ შეუსრულებია. ამ მოხსენებულ პროექტების შედგენაში ქალაქის გამგეობა, შექმლებისა-და-გვარად, შემწეობას მისცემს მამულის მებატრონეთა.

(3-1)

პირუტყვის დამცველი თფილისის საზოგადოება აცხადებს, რომ ვისაც ამ ზაფხულის განმავლობაში საზოგადოებასთან რაიმე საქმე ექნება, უნდა მიმართოს, საღამოს 4 საათიდან 5-მდინ, საზოგადოების სეკრეტარს უფ. ნ. ი. მესჩერსკის, რომელიც ცხოვრებს რიყეზე, ახნაზაროვის სახლში, მიროვოი სულის გვერდით. ხაზინადარი საზოგადოებისა უფ. ი. მ. ქასუმოვი დგას მარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, მარლამოვის სახლში, № 18; ამის ნახვა შეიძლება ნასადილვეის 3 საათიდან 5-მდინ.

(3-1)

გურიანი, სოფელს ხილის-თავში გავსენი სტალიარის ქარხანა. ვაკეთებ ყოველ გვარ კარგ მებელს, იფ ფასად. მსურველს შეუძლიან მომართოს მღედ შილიძე ქალანდაძის სახლში.

სერაჟიონ ქალანდაძე

(5-2)

რძ. გზა.	დღით.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაბ.	მაზანდა	მან. კაბ.	თფილისის სამკურნალ ო.
თფილისი	9 21	5 18	კაბ.	მ. კაბ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი 18 ივნისს.		მრევის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქაქაბიძის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ
ზორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდენას, მოსკოვს, პეტერბურგს, მარშავს	2	შქვ. წითელი	170	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
ხაშური	1 29	11 57	4	73 2 42	ოსმალეთში, შვეიცარიაში	2	ბაზა მრევისა, ფუთი.	8 30	— ამერიკისა, ფუთა
სურამი	1 44		4	90 2 61	იტალიაში და საფრანგეთში	3	— პეტრიკისა, ფუთა	9 40	— შარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
შვირილი	5 49			21 3 69	ინგლისში.	3 50	ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	10 70	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
როანი	6 57			44 4 31	ზოგად	3 75	მატური თუშური ფუთი.	8 20	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
სამტრედია	7 51			66 4 93			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	4	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
ახალ-სენაკი	8 43			71 5 47			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	2 10	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
ფოთი	9 50			24 6 26			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	5 80	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
ფოთი	9 3						— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	7 60	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
ახალ-სენაკი	10 14			1 53 - 78			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	12 40	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
სამტრედია	11 5			2 61 1 33			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	72	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
როანი	12 13			3 84 1 97			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	90	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
შვირილი	1 18	ლაგე.	5 3	2 56			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	4 50	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
სურამი	5 12			110 7 34 3 74			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	7 15	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
ხაშური	5 39			1 37 7 51 3 84			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	5 80	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
ზორი	7 5			4 89 24 4 73			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	6 5	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
მცხეთა	8 50			6 59 11 39 5 82			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	11 80	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.
თფილისი	9 31			7 56 12 24 6 26			— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.	8 50	— მარალევი—შინიგ. ავთ., შიუჩა-ბაჰენტილი ბაზა ფუთი.